საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2330-03
09/12/2022

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან წარმომადგენლობით საბჭოში წევრობის კანდიდატების (სტუდენტი) არჩევნების ჩატარების თარიღისა და დროის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-14 მუხლის, მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის №9 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების" მე-3 და მე-4 მუხლების საფუძველზე, რექტორის 2022 წლის 29 ნოემბრის N2274-03-03 ბრძანების გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან წარმომადგენლობით საბჭოში წევრობის კანდიდატად სტუდენტური კვოტიდან დარეგისტრირებულია მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის შემდეგი აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები:
   სამაგისტრო საფეხურის სტუდენტი - ოთარ ჯინჭარაძე;
   საბაკალავრო საფეხურის სტუდენტი- ჯემალ ავაზნელი;
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის (სტუდენტური კვოტა) კანდიდატთა არჩევნები ჩატარდეს 2022 წლის 13 დეკემბერს B201 აუდიტორიაში), 10:00-დან 18:00-საათამდე.
3. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის (სტუდენტები) კანდიდატთა არჩევნებში მონაწილეობს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან ყველა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. თუ სტუდენტი ირიცხება ერთდროულად უნივერსიტეტის ერთზე მეტ ფაკულტეტზე/სკოლაში, ის შეიყვანება იმ ფაკულტეტის/სკოლის სიაში, სადაც სწავლობს Major პროგრამაზე.
4. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილეს ირინე ბაზღაძეს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის საჯარო წესით გაცნობა მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტუდნეტებისათვის ,,არგუსის" მეშვეობით;
5. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

6. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ სამსახურსა და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი